საქართველო
წალკის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ118. 118250134**

თარიღი:**13/01/2025**

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველიპუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე.„საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული“ კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყებასთან დაკავშირებით წალკის მუნიციპალიტეტში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და განაწილდეს ფუნქციები სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის.

2. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მისი წევრების ფუნქციები შემდეგია:

	სამუშაო ჯგუფის წევრის თანამდებობა	ფუნქციები
1	წალკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ანზორ ხინიკაძე	პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან
2	წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარქისიან	საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში
3	წალკის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ დეკანაძე	მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და

		საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში
4	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ევგენია ფურცელაძე	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით
5	კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ფრიდონ გვარლიანი	საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება
6	პიარი მარიამ ნატრიაშვილი	ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის
7	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ამირან საყვარელიძე	პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზებis წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა
8	იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვისგანყოფილების უფროსი დათო მიქაძე	მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს წალკის მუნიციპალიტეტის მერიის.განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი

პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ, 2024 წლის 09 იანვრის #ბ118.118240094 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანვე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოში (მისამართი: ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. #11) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ილია საბაძე

წალკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი